



## დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა; გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება; ტოლერანტული და თანასწორი საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა; კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

### მაისის აქტივობები

უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა ევროპაში და მისი გავლენა საქართველოზე .....	2
<b>ადამიანის უფლებები</b>	
DRI მხარს უჭერს განათლების უფლებით სარგებლობის მოთხოვნით დაწყებულ სტუდენტურ პროტესტს.....	3
<b>ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი</b>	
DRI ულტრამემარჯვენე ჯგუფებისგან დაზარალებული ქეთევან თუთბერიძის ინტერესებს იცავს.....	3
DRI: სასამართლო განაჩენით 5 ივლისის ძალადობის ორგანიზატორების არსებობა დასტურდება.....	4
ღიად პრორუსულ პარტიას „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ ახალი შემომწირველები ჰყავს.....	4
<b>ეროვნული უსაფრთხოება</b>	
DRI: პოლიციელების, სამხედრო მოსამსახურეებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეებზე უკანონო ზემოქმედების მექანიზმები.....	5
<b>კონფლიქტები</b>	
მარის ტრაგედიიდან 30 წელი გავიდა.....	5
მუჰაჯირობა საქართველოს მთავრობის პოლიტიკური შეფასების გარეშე.....	6
DRI-ის კოალიციური საქმიანობა.....	6

უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა ევროპაში და მისი გავლენა საქართველოზე

30 მაისს, სამმა ორგანიზაციამ - „სამოქალაქო იდეა“, „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“ (DRI) და „დემოკრატიის ინდექსი - საქართველო“ გამართა კონფერენცია „უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა ევროპაში და მისი გავლენა საქართველოზე.“



კონფერენცია გახსნა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა და ევროკავშირის ელჩმა საქართველოში კარლ ჰარცელმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სამოქალაქო სექტორისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგებისა და საქართველოში ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევების გაანალიზება, ევროპასთან ინტეგრაციის არსისა და ევროკავშირის წევრობის სტატუსის პერსპექტივაზე მსჯელობა.



DRI მხარს უჭერს განათლების უფლებით სარგებლობის მოთხოვნით დაწყებულ სტუდენტურ პროტესტს

DRI-მ მხარი დაუჭირა განათლების უფლებით სარგებლობის მოთხოვნით დაწყებულ სტუდენტურ პროტესტს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ორი კვირის განმავლობაში აპროტესტებდნენ უნივერსიტეტის გადაწყვეტილებას, 2 მაისიდან სწავლების სრულად აუდიტორიებში განახლების შესახებ და სასწავლო წლის ჰიბრიდული სწავლებით დასრულებას ითხოვდნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილებამ ერთდროულად მრავალი პრობლემა წარმოაჩინა. უნივერსიტეტს არ დაუსაბუთებია, რა გადაუდებელი აუცილებლობა დაედო საფუძვლად გადაწყვეტილებას სასწავლო წლის დასრულებამდე 2 თვით ადრე სწავლების აუდიტორიაში სრულად განახლების შესახებ.

ადვილად გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ მაისი-ივნისის თვეებში რეგიონებში მცხოვრები ათასობით სტუდენტი თბილისში საცხოვრებლის მოძიებას ვერ მოახერხებდა, მით უფრო, რუსი ვიზიტორების ნაკადის შემოსვლის გამო საცხოვრებელი ბინის ქირის ისედაც მზარდი ფასების კიდევ უფრო გაძვირების პირობებში.

DRI ულტრამემარჯვენე ჯგუფებისგან დაზარალებული ქეთევან თუთბერიძის ინტერესებს იცავს

ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ დაზარალებული ჟურნალისტის ქეთევან თუთბერიძის ინტერესებს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI) იცავს. თუთბერიძის მიმართ 2021 წლის 24 დეკემბერს განხორციელებული პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) დაიწყო, **თუმცა ჟურნალისტი ამ დრომდე არაა დაზარალებულად ცნობილი.**

უკანასკნელ პერიოდში მედიის წარმომადგენლების მიმართ ანგარიშსწორებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მყისიერი რეაგირება ფაქტებზე, სადაც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება. ხელისუფლების უმოქმედობა მედიის წარმომადგენლების მიმართ დანაშაულების ჩადენას ახალისებს. გამოძიების ობიექტურად, მიუკერძოებლად და სრულყოფილად წარმართვისათვის აუცილებელია სამართალწარმოების პროცესში დაზარალებული პირის კანონის შესაბამისად ჩართულობა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა, უზრუნველყოს ქეთევან თუთბერიძისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება.

DRI: სასამართლო განაჩენით 5 ივლისის ძალადობის ორგანიზატორების არსებობა დასტურდება

2021 წლის 5-6 ივლისის ძალადობრივ მოვლენებთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ ლექსო ლაშქარავას და მირანდა ბალათურას ეპიზოდში მიღებული გამამტყუნებელი განაჩენით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ 5 ივლისის ძალადობრივი დარბევა ორგანიზებული იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ელიეშვილმა, 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების საქმის განმხილველი მოსამართლეებისგან განსხვავებით, ექვსივე მსჯავრდებული დამნაშავეებად ცნო ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობაში.

საგანგაშოა, რომ 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენებიდან ათი თვის შემდეგაც კი, საქართველოს პროკურატურას არ დაუწყია ძალადობის ორგანიზატორ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზატორების ბრალეულობა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენითაც დასტურდება.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა მოუწოდა საქართველოს პროკურატურას, 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების ორგანიზატორების სისხლისსამართლებრივი დევნა დაუყოვნებლივ დაიწყოს.

ღიად პრორუსულ პარტიას „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ ახალი შემომწირველები ჰყავს

ღიად პრორუსული პარტია „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ 2021 წლის 20 ნოემბერს დაფუძნდა. პარტიის დაარსებიდან სამი თვის განმავლობაში პარტიას შემომწირველები არ ჰყავდა. პოლიტიკურ გაერთიანებას თანხა პირველად 2022 წლის 16 თებერვალს შესწირეს, თუმცა „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ ოფისების გახსნა რეგიონებში 2021 წლის 27 დეკემბრიდან, დაფინანსების არარსებობის პირობებში დაიწყო.

დღეს „კონსერვატიულ მოძრაობას“ 64 ოფისი აქვს, შემოწირული თანხის რაოდენობა კი 200.000 ლარს აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის შემოწირულება ბოლო თვეების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ნაკლებ სავარაუდოა, ოფიციალურად დეკლარირებული თანხა საკმარისი იყოს 62 რეგიონული ოფისის შესანახად.

2022 წლის 16 თებერვლიდან 2022 წლის 23 მაისამდე, „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ 210 შემოწირულება მიიღო. საერთო ჯამში, პარტიას 80 შემომწირველი ჰყავს, აქედან უმრავლესობამ პარტიას რამდენიმეჯერ შესწირა ფულადი თანხა. პარტიის ძირითადი შემომწირველები „კონსერვატიული მოძრაობის“ რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები არიან.

DRI: საჯარო მოხელეებზე უკანონო ზემოქმედების მექანიზმები ფართოვდება

მმართველი პოლიტიკური გუნდის მიერ საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონის პროექტის მიხედვით, შესაძლებელი ხდება პოლიციელის, სამხედრო მოსამსახურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის თანხმობით ან თანხმობის გარეშე, მსგავსი ფუნქციის მქონე თანაბარ თანამდებობაზე გადაყვანა ტერიტორიულად სხვა ადგილზე. გადაყვანის ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ პირვანდელ თანამდებობაზე დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდება და მოსამსახურე უარს განაცხადებს შეთავაზებულ თანამდებობაზე, ის გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან.

წარმოდგენილი კანონის პროექტი საჯარო მოსამსახურეს არ უტოვებს არჩევანის შესაძლებლობას. უფლებამოსილ თანამდებობის პირს შეეძლება თანამშრომელი სხვა ტერიტორიულ ერთეულში იმისდა მიუხედავად გადაიყვანოს, თანახმა იქნება თუ არა ამაზე გადასაყვანი პირი.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ კანონპროექტი შეიცავს ბუნდოვან ნორმებს, რაც მაღალი თანამდებობის პირებს ანიჭებს უკონტროლო და დაუსაბუთებელი მოქმედების შესაძლებლობას და არ გამორიცხავს ნორმის გამოყენებას შესაბამისი პირის „დასასჯელად“.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კანონის პროექტის მიღება საფუძველს აცლის საჯარო სამსახურის სტაბილურობის პრინციპს, დაუსაბუთებლად ზრდის შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელთა ძალაუფლებას და უკიდურესად მყიფეს ხდის საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა შრომით გარანტიებს.

### მარის ტრაგედიიდან 30 წელი გავიდა

20 მაისს, ოსი ხალხი ქართულ-ოსური კონფლიქტის 1991-1992 წლების ყველაზე საზარელ თარიღს იხსენებს. ოცდაცხრა წლის წინ სამხრეთ ოსეთიდან ჩრდილოეთ ოსეთისკენ მიმავალ ავტოკოლონას ჯავის რაიონის სოფელ მარში თავს დაუდგენელი პირები დაესხნენ და დაცხრილეს. დაიღუპა ოცდათორმეტი ადამიანი, მათ შორის, ბავშვები. თექვსმეტი დაშავდა. მარში მომხდარმა გაუგონარი სისასტიკის ძალადობამ კონფლიქტით გაყოფილ ორივე მხარეს მოუშუშებელი იარა დაგვიტოვა.

დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ოსი მეგობრები, რომლებსაც დანარჩენი საქართველოსგან გაუცხოებით ნაშენი კედელი ყოფს, გაიგონებენ ჩვენს ხმას და ეცოდინებათ, რომ მარში მომხდარი მასობრივი მკვლელობა საქართველოს ტრაგედიაა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ამ განცხადებით ახსენებს ჩვენი დაყოფილი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, რომ დაუშვებელია მსგავსი დანაშაულის განმეორება.

### მუჰაჯირობა საქართველოს მთავრობის პოლიტიკური შეფასების გარეშე

21 მაისს ჩვენი აფხაზი თანამოქალაქეები მუსლიმი აფხაზების მუჰაჯირობის დაწყების ტრაგიკულ თარიღს იხსენებენ. 1867 და შემდგომ უკვე 1877 წელს სამშობლო ორმოცდაათ ათასზე მეტმა აფხაზმა დატოვა, რომლებსაც რუსეთის იმპერიამ აღმსარებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის გამო თურქეთის მიწებზე გადასახლება აიძულა. აფხაზები, თანამომე ჩერქეზ და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად დაისაჯნენ იმპერიის მიმართ წინააღმდეგობისთვის. ზოგიერთისთვის (შაფსულებისთვის, უბიხებისთვის, აბაძეებისთვის და სხვებისთვის) ეს პროცესი სრული გაქრობით დასრულდა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ მუჰაჯირობის საკითხი საქართველოს მთავრობისგან ისეთივე პოლიტიკურ შეფასებას და საქართველოს ისტორიულ მეხსიერებაში სათანადო ასახვას მოითხოვს, როგორც ეს ჩერქეზების გენოციდის აღიარების შემთხვევაში მოხდა.

## DRI-ის კოალიციური საქმიანობა

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. მათში DRI-ის ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით ოთხი კოალიციური განცხადება გავრცელდა.

პირველი [განცხადება](#) ევროკავშირის კითხვარის პასუხების გასაჯაროებას შეეხებოდა. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, კოალიციამ მოუწოდა ხელისუფლებას, გაესაჯაროებინა ევროკავშირის კითხვარზე მომზადებული პასუხები, ან წარმოადგინა არგუმენტი, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რა საფუძვლით ახდენდა ინფორმაციის გასაიდუმლოებას.

8 მაისს, კოალიცია „ინფორმაციის სანდოობისთვის“, რომლის წევრიც 2022 წლის აპრილიდან ვართ, ევროპაში ნაციზმზე გამარჯვების დღის აღნიშვნის თარიღს [გამოეხმაურა](#).

DRI შეუერთდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების [განცხადებას](#) ნიკა გვარამიასთვის თავისუფლების აღკვეთის შესახებ, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ კრიტიკული მედიასაშუალებების გენერალური დირექტორის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, მათ შორის, მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების გამო, წარმოადგენს შერჩევითი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და მსჯავრდების კიდევ ერთ მაგალითს. ვფიქრობთ, მსგავსმა პროცესებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესზე. ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს DRI კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ფარგლებშიც [გამოეხმაურა](#).